ა ნ გ ა რ ი შ ი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ 2025 წელს ჩაატარა 11 სხდომა, სადაც განხილული იქნა 15 საკითხი. ასევე ჩატარდა 1 საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა. კერძოდ:

2025 წლის 24 იანვარს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-10 ქუჩის I ჩიხისათვის სახელდების შესახებ
2. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-1 ქუჩის III შესახვევის სახელდების შესახებ

2025 წლის 13 თებერვალს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელაში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

2025 წლის 12 მარტს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას I ქუჩის III შესახვევისათვის წმინდა ალექსი შუშანიას სახელის მინიჭების თაობაზე
2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2025 წლის 25 მარტს

1. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“
2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

3. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

4. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჯიხას პირველი ქუჩის მე-5 ჩიხის სახელდების შესახებ

2025 წლის 15 მაისს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა და სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურების განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე

2025 წლის 26 ივნისს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2025-2026 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე

2025 წლის 8 გვისტოსს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 18 ივლისს შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების განხილვის თაობაზე

3. სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გოლასკურის მე-4 ქუჩის სახელის გადარქმევის თაობაზე

4. სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გოლასკურის მე-2 ქუჩის სახელის გადარქმევის თაობაზე

2025 წლის 12 აგვისტოსს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

2. ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის“ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2025 წლის 24 სექტემბერს

1. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე ანგარიშის მოსმენა

2. ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის“ 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წლის 5 სექტემბერს შემოსული ნოდარ ეჯიბიას განცხადების 19/41252484-41 განხილვის თაობაზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სახარბედიოს 1-ლი ქუჩის, 1-ლი ქუჩის შესახვევის და მასში შემავალი ჩიხებისათვის გიორგი ბრწყინვალის სახელის მინიჭების თაობაზე

2025 წლის 30 სექტემბერს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წლის 22 აგვისტოს შემოსული განცხადების 19/41252344-41 განხილვის თაობაზე, ვენე არჩაიას ქუჩის ნაწილის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით (დაერქვას ალექსანდრე (კუკური) ჩაჩიბაიას სახელი)

2025 წლის 22 ოქტომბერს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წლის 16 სექტემბერს სენეკის რესურსცენტრიდან შემოსული განცხადების: 1152195 (სარეგისტრაციო 04-41252592-41) განხილვის თაობაზე, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

2025 წლის 10 ნოემბერს

1. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სახარბედიოს 1-ლი ქუჩის , 1-ლი ქუჩის I შესახვევს და 1 -ლი ქუჩის I,II ,III, IV, V ჩიხის სახელის გადარქმევის თაობაზე"

19-20 ნოემბერს:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე”

2025 წლის 21 ნოემბერს

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2025 წლის 5 დეკემბერს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 28 ნოემბერს შემოსული სენაკის მუნიციპალიტეტის უსახელო ქუჩის მოსახლეობის განცხადების (სარეგისტრაციო N19/41253321-41) განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების თაობაზე
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 1 დეკემბერს რეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ელიზბარ ოდიშარიას მოხსენებითი ბარათის (სარეგისტრაციო N19/41253354) განხილვის თაობაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მშვიდობის ქუჩის III შესახვევის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით

2025 წლის 18 დეკემბერს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წლის მეოთხე კვარტალში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

კომისიის სხდომებზე განხილული პროექტები მომზადებულად იქნა მიჩნეული ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისათვის. რიგ შემთხვევაში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები. ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტებთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად, რაზედაც საკრებულოს მიერ მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ამავე პერიოდში განხილული იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება. რიგი წერილებისა განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებლებს. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.